ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 37/3

თბილისი 27 01 2017 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი", მინისტრის მოადგილის ვალერი კვარაცხელიას სახით და მეორე მხრივ, შპს „ტრადოსი" შემდგომში „მიმწოდებელი" , წარმოდგენილი მისი დირექტორის ხათუნა მღებრიშვილის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის ასიგნებების ფარგლებში, თარგმნის მომსახურების სახელმწიფო (CPV79530000) შესყიდვაზე. რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 49. 65 (ორმოცდაცხრალარი და 65 თეთრი) ლარად (ფასი მოიცავს კანონით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნა - 3, 51 გვერდი.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებისთანავე.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.3. გაწეულ მომსახურებაზე ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე (წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად) გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ინსპექტირების აქტის საფუძველზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება გაწეული მომსახურების შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზედაც მხარეთა შორის გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი(დანართი 1) სამ ეგზემპლარად.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1 უზრუნველყოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.1.2 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.1.3 მოქმედი ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს მომსახურების გაწევა მაღალი ხარისხით და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში.

7.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1.დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.2.2 უზრუნველყოს "მიმწოდებლის" ადეკვატური და დროული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.2.3 დროულად განიხილოს "მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

8.1.2 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს მიმწოდებლის დაფინანსებას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელს უფლება აქვს შეაჩეროს მომსახურების გაწევა მისი კუთვნილი თანხის მიღებამდე.

8.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი.

8.2.2 აწარმოოს შესრულებულ სამუშაოთა ფინანსური და ორგანიზაციული მონიტორინგი.

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2.მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით-გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4 დაუშვებელია ერთეულის ფასის ისეთი ცვლილება, რომელიც გამოიწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდას.

10.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. სამუშაოს შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში „მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო ყოვე[ლ] გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით, ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებ[ს] ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს „შემსყიდველს"
უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა
14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვე[რ] უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხ[ვა] შემთხვევაში.
14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მომწოდებელ[ს] ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.
14.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ინსპექტირების პირობები
15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სამინისტროს ადმინისტრაციულ[ი] დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ნათია ბერუაშვილი.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.
16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 10 მარტამდე.

17. განსაკუთრებული პირობები
17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად, რომელთაც თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
17.2. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ერთი მიმწოდებელთან.

18. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
ს/კ – 211333957
თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. #144.
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ – TRESGE22 (220101222)
ა/ა – 200122900

ვალერი კვარაცხელია
მინისტრის მოადგილე

ვიზა: ი. ბიბილაშვილი
ი. ქიტიაშვილი
ი. აბრამიშვილი
ი. გვასალია

შემსრულებელი: ნ. ბერუაშვილი

„მიმწოდებელი"
შპს „ტრადოსი"
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 36
ს/კ -204544029
საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE09BG0000000234722800

ხათუნა მაღურიშვილი
დირექტორი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

„27“ „01“ 2017 წ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ შპს ,,ტრადოსის“ მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

ვ. კვარაცხელია

ი. ბიბილაშვილი

ი. აბრამიშვილი

ნ. ბერუაშვილი